

## გამოყენების ინსტრუქცია

ქონდროფლექსი  
CHONDROFLEX



### შემადგენლობა

აქტიური ნივთიერება: ქონდროიტინის სულფატი;

1გ მალამო შეიცავს 50მგ ქონდროიტინის სულფატს;

დამხმარე ნივთიერებები: დიმეთილსულფოქსიდი, ლანოლინი, თეთრი რბილი პარაფინი, გასუფთავებული წყალი.

წამლის ფორმა: მალამო. ღია-ყვითელი ფერის მალამო დიმეთილსულფოქსიდის სუნით;

### მწარმოებელი

ღსს „ტერნოფარმი“

უკრაინა, 46010, ქ. ტერნოპოლი, ფაბრიჩნაიას ქ. 4

ტელ/ფაქსი: (0352) 521-444, <http://www.ternopharm.com.ua>.

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:** არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო და რევმატიზმის საწინააღმდეგო საშუალებები. ქონდროიტინის სულფატი.

ATC M01A X25

კომპლექსური პრეპარატის ძირითად მოქმედ ნივთიერებას წარმოადგენს ქონდროიტინის სულფატი. ეს ნივთიერება გავლენას ახდენს ხრტილოვან ქსოვილში ფოსფორ-კალციუმის ცვლაზე, ანელებს ძვლოვანი ქსოვილის რეზორბციას, ამუხრუჭებს ხრტილოვანი ქსოვილის დეგენერაციის პროცესს, ხელს უშლის შემაერთებელი ქსოვილის გამკვრივებას და მონაწილეობს სახსრის ზედაპირის სისველის შენარჩუნებაში. ნორმალიზდება სახსროვანი სითხის პროდუქცია, აუმჯობესებს სახსრის მოძრაობას, მონაწილეობს იღებს ძვლოვანი და ხრტილოვანი ქსოვილის ძირითადი ნივთიერების წარმოქმნაში.

ქონდროიტინის სულფატი ხრტილს იცავს დაზიანებისაგან და ხელს უწყობს მისი მატრიქსის რესინთეზს. გარეგანი გამოყენებისას პრეპარატი აფერხებს ოსტეოპოროზის პროგრესირებას, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას ჰიალინურ ქსოვილში, ასტიმულირებს სახსროვანი ხრტილის რეგენერაციას, ამცირებს ანთებითი პროცესის გამოვლინებას და ტკივილს დაზიანებულ სახსრებში, აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს. ქონდროიტინის სულფატის ანთების საწინააღმდეგო აქტივობა, რომელიც ძირითადად მიმართულია ანთებითი პროცესის უჯრედულ კომპონენტზე, ახდენს ჰიალურონის მჟავას და პროტეოგლიკანების სინთეზის სტიმულირებას, თრგუნავს პროტეოლიზური ფერმენტების აქტივობას. დიმეთილსულფოქსიდი აუმჯობესებს ქონდროიტინის შეღწევას კანში.

